ევროკავშირში განწევრიანება, რაც ევროკავშირის საზღვრებს უფრო მეტად აღმოსავლეთით, საქართველოსკენ გადმონაცვლებდა. ჯერ პოტენციური, შემდეგ კი ახალი წევრი ქვეყნები (განსაკუთრებით, პოლონეთი და ბალტიისპირეთის სახელმწიფოები) აქტიურად უჭერდნენ მხარს საქართველოსთან ევროკავშირის პოლიტიკის გაღრმავებას; ამასთან, იზრდებოდა ევროკავშირის ინტერესი კასპიის ზღვის ენერჯო რესურსებისადმი, რაც მას ენერჯის დივერსიფიცირების შესაძლებლობას მისცემდა; ცვალებადი საერთაშორისო უსაფრთხოების გარემო (ერაყსა და ავღანეთში საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მიმდინარე კამპანიები) კი საქართველოსადმი დასავლეთის ინტერესს უფრო მეტად ამაღლებდა¹⁰.

შედეგად, პრაგმატულმა ინტერესებმა და საჭიროებამ მოიტანა ახლადშექმნილი ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამხრეთ კავკასიის რეგიონისკენ გაფართოება და 2004 წელს მასში საქართველოს ჩართვა. ევროკავშირმა უფრო აქტიურად დაიწყო საქართველოს საკითხებით დაინტერესება: 2003 წელს საქართველოში დანიშნა სამხრეთ კავკასიაში სპეციალური წარმომადგენელი, ხოლო 2004 წელს საქართველოში გამოგზავნა ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია (EUJUST THEMIS).

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი გარდამტეხი იყო იმ გაგებით, რომ ევროკავშირმა პირველად შეითავსა საქართველოში უსაფრთხოების აქტორის როლი: ევროკავშირმა იკისრა დაპირისპირებულ მხარეებს შორის შუამავლობა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების პროცესში მედიატორობა; 2008 წლის 25 სექტემბერს ევროკავშირმა შექმნა საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პოსტი, რომელიც 2011 წელს გაერთიანდა სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პოსტთან; 2008 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოში დააფუძნა ევროკავშირის მონიტორინგის მისია (EUMM); 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, აგრეთვე, დააჩქარა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ამოქმედებაც.

2013 წლის 25 თებერვალს საქართველოს ოფიციალურად გადმოეცა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც საქართველომ განახორციელა მასშტაბური რეფორმები დოკუმენტების უსაფრთხოების, საზღვრისა და მიგრაციის მართვის, თავშესაფრის პოლიტიკის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, საგარეო ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებების მიმართულებებით.

მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, 2013 წლის 29 ნოემბერს ხელმოწერილი ჩარჩო შეთანხმება, რომელიც საქართველოს შესაძლებლობას მისცემდა, მონაწილეობა მიეღო ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე კრიზისის მართვის ოპერაციებში.

ამგვარად, 2004-2013 წლებს შეიძლება ეწოდოს „მზარდი ჩართულობა“ ევროპული სამეზობლო პოლიტიკის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში. თუმცა, თითოეული ინტეგრაციული ნაბიჯი უფრო მეტად იმ პერიოდის საჭიროების შედეგი და არსებულ გამოწვევებზე რეაგირება უფრო იყო, ვიდრე სტრატეგიული ხედვის და პროაქტიული პოლიტიკის ნაწილი.

2.4. 2014-დღემდე – ასოცირებული ჩართულობა

2014 წელს ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან იწყება ახალი ეტაპი საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში. ასოცირების ხელშეკრულებამ, რომელიც ასევე მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტს, ჩაანაცვლა მანამდე არსებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება. დღეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის კავშირები სამართლებრივად სწორედ ამ დოკუმენტით რეგულირდება. იგი ითვალისწინებს საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ინსტიტუციურ ევროპეიზაციას და ხარისხობრივად აუმჯობესებს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს.

ასოცირების ხელშეკრულების პარალელურად, განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც კიდევ უფრო გაამყარა საქართველოს ევროპული მისწრა-

10 Delcour, L. & Duhot, H. (2011). Bringing South Caucasus Closer to Europe: Achievements and Challenges in ENP Implementation. *Natolin Research Papers*, 3, pp. 7-8.

ფებები: 2016 წლის 23 ივნისს ხელი მოეწერა საიდუმლო ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შესახებ შეთანხმებას; 2017 წლის 28 მარტს, ფართომასშტაბიანი რეფორმების წარმატებით გატარების შემდეგ, საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდა; 2017 წლის 1 ივლისიდან საქართველო გახდა ენეგეტიკული გაერთიანების წევრი; 2017 წლის 11 ოქტომბრიდან ამოქმედდა საქართველო-ევროკავშირის უსაფრთხოების საკითხებზე მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგი; საქართველომ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე კრიზისის მართვის რამდენიმე ოპერაციაში; ევროკავშირი აქტიურად აგრძელებდა კონფლიქტის დარეგულირების პროცესში მონაწილეობას როგორც პოლიტიკურ-დიპლომატიურ დონეზე, ისე ნდობის აღდგენის მექანიზმებში.

უფრო მეტიც, 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმით, კონსტიტუციურ ნორმად განისაზღვრა საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში წევრობისკენ სწრაფვა.

ერთი სიტყვით, 2014 წლიდან ევროკავშირ-საქართველოს დღის წესრიგი მთლიანად არის მორგებული ასოცირების ხელშეკრულებას და მასში გათვალისწინებულ რეფორმებს. შესაბამისად, ამ პერიოდს შეიძლება ეწოდოს „ასოცირებული ჩართულობა“.

რუსეთის ომმა უკრაინის წინააღმდეგ არსებითად შეცვალა ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების პირობები. 2022 წლის 28 თებერვალს უკრაინამ ევროკავშირის წევრობაზე გააკეთა განაცხადი, რასაც 2022 წლის 3 მარტს საქართველოს და მოლდოვას წევრობის განაცხადები მოჰყვა. საქართველომ დამოუკიდებლად ერთ თვეში შეძლო ორ ნაწილად გადმოცემული განცხადების აპლიკაციის 2,669 კითხვაზე პასუხის გაცემა და ევროკომისიისთვის დაბრუნება. 2022 წლის ივნისში ევროპული საბჭოს ისტორიული გადაწყვეტილებით, საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიენიჭა და სრულფასოვანი კანდიდატის სტატუსის მისაღებად 12 რეკომენდაციის შესრულება დაევალა. ამ მომენტიდან საქართველო აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების პროცესშია.

აღნიშნულის მიუხედავად, ამ ეტაპზე ასოცირების ხელშეკრულება რჩება ევროკავშირ-

სა და საქართველოს შორის ურთიერთობების მარეგულირებელ დოკუმენტად. კანდიდატის სტატუსის მიღების და განცხადების მოლაპარაკებების დაწყების შემთხვევაში, დასრულება ასოცირებული ჩართულობა და საფუძველი ჩაეყრება ახალ, უფრო ამბიციურ ეტაპს, რომლის საბოლოო მიზანი იქნება საქართველოს ევროკავშირში წევრობა.

2.5. საქართველოს ევროპეიზაცია: აქტორები, ინსტიტუტები

ევროპული პოლიტიკის კოორდინაციის ქართული მოდელი შემდეგნაირად გამოიყურება: გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი ორგანო არის ევროპული ინტეგრაციის სამთავრობო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. საგარეო საქმეთა სამინისტრო არის ცენტრალური მაკოორდინირებელი ინსტიტუტი და სამთავრობო კომისიის სამდივნო. სამთავრობო კომისიის ფარგლებში შექმნილია უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფები, რომლებიც კონკრეტულ თემებზე მუშაობენ.

უფრო კონკრეტულად, ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიას აქვს შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

- საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის ცალკეული მიმართულებების მხარდასაჭერად წინადადებების და რეკომენდაციების მხარდაჭერა;
- შესაბამისი ინფორმაცია მოსმენა/განხილვა და ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის ხელშეწყობა;
- საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების პროცესის ხელშეწყობა;
- საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ცალკეული ინსტიტუციური მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების განხორციელების/აღსრულების პროცესის ხელშეწყობა.

ევროპეიზაციის პროცესში საქართველოში მოქმედი სხვა აქტორებიდან აღსანიშნავია:

- საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, რომლის ძირი-

თადი დაფარვის თემებია ევროპული სამეზობლო პოლიტიკა და აღმოსავლეთ პარტნიორობა, პარტნიორობა მობილურობისთვის, ასოცირების შეთანხმება, სავიზო ლიბერალიზაცია, ევროკავშირის ჩართულობა კონფლიქტის მოგვარებისა და უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხებზე. საინფორმაციო ცენტრის მთავარი აქტივობები მოიცავს სემინარებს, ტრენინგებს, ევროკავშირის კვირეულს, პუბლიკაციებს, რეგულარულ შეხვედრებს რეგიონებში, თემატურ კონკურსებს, სიმულაციურ თამაშებს, ნატოსა და ევროკავშირის კუთხეებს.

- ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების იმპლემენტაციის ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადებასა და შესრულების კოორდინაციაზე.
- იუსტიციის სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია კანონპროექტების პარლამენტში გაგზავნამდე, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონებთან შესაბამისობის ანალიზის სამთავრობო დონეზე განხორციელებაზე. უფრო კონკრეტულად, მისი აქტივობები მოიცავს შემდეგს: 1) ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზის (acquis) შესწავლა და ანალიზი, მათ შორის, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილების; 2) საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზასთან ჰარმონიზაციისათვის საჭირო ზომების მიღება.
- სექტორული სამინისტროები. თითოეულ მათგანს აქვს ევროკავშირთან დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები (დეპარტამენტი, სამმართველო, განყოფილება), რომლებიც ახორციელებენ შემდეგს: 1) ასრულებენ ევროკავშირთან აღებულ სპეციფიკურ ვალდებულებებს; 2) კომპეტენციის შესაბამისად ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზის შესწავლა და ანალიზი. ამ სტრუქტურულ ერთეულში გამოყოფილია ე.წ. სამეკავშირეო (liaison) ოფიცერი, რომელთანაც

კავშირი აქვს საგარეო საქმეთა სამინისტროს. მაგ.: იუსტიციის სამინისტროში – ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტი (პირველი მოადგილის ქვეშ); გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში – ევროინტეგრაციის დეპარტამენტი.

- არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური, ბიზნეს წრეებისა და მედიის წარმომადგენლები, რომლებიც ამ პროცესში ასევე კრიტიკულ როლს თამაშობენ თავიანთი ინდივიდუალური/ჯგუფური პროგრამებით/ანგარიშებით/კვლევებით; კონკურსებით, კონფერენციებით, სხვა ღონისძიებებით, ცნობიერების ამაღლების აქტივობებით და მედია პროგრამებით.

ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემდეგი ინსტიტუტები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში მართავენ და ხელს უწყობენ საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესს და მასასადაამე, საქართველოს ევროპეიზაციას:

- ასოცირების საბჭო (მინისტრების დონეზე).
- ასოცირების კომიტეტი (მინისტრის მოადგილეების დონეზე).
- ასოცირების კომიტეტი ვაჭრობაზე (მინისტრის მოადგილის დონეზე).
- ასოცირების ქვე-კომიტეტები (თავისუფლება, უსაფრთხოება და მართლმსაჯულება; ეკონომიკური და სექტორული თანამშრომლობა; გეოგრაფიული ინდიკაციები; სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმები; საბაჟო; ვაჭრობა და მდგრადი განვითარება).

2.6. პარლამენტის როლი ევროპეიზაციაში

ევროპეიზაციის ერთ-ერთი ცენტრალური ინსტიტუტია საქართველოს პარლამენტი, რომელიც ასევე არის დემოკრატიზაციის ცენტრი ქვეყანაში. პარლამენტს აქვს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, რომელიც ასოცირების შეთანხმების შესასრულებლად საჭირო კანონპროექტებს ამზადებს. უფრო კონკრეტულად, მისი ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

კანონშემოქმედება და სამართლებრივი ექსპერტიზის მიწოდება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ; ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი; მონაწილეობს EURONEST PA-ის და საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის (PAC) მუშაობაში. პარლამენტის, მათ შორის, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წარმომადგენლები მონაწილეობენ სამთავრობო კომისიისა და სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში.

საქართველოს პარლამენტი ევროპარლამენტთან ურთიერთობს ორი ძირითადი პლატფორმის საშუალებით: ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა (ევროპარლამენტის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი სახელმწიფოს პარლამენტების წარმომადგენლები; მრავალმხრივი ფორმატი) და საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი (ევროპარლამენტის და საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები; ორმხრივი ფორმატი).

საერთო ჯამში, ევროპეიზაციის პროცესში საქართველოს პარლამენტი თავის როლს ახორციელებს საკანონმდებლო და სახედამხედველო ფუნქციების გამოყენებით, აგრეთვე, საპარლამენტო დიპლომატიის გზით.

2017 წელს განხორციელებული კონსტიტუციური რეფორმის ფარგლებში ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების კონსტიტუციურ დონეზე (მუხლი 78) განმტკიცების გარდა, პარლამენტის რეზოლუციებმა საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ (2013 წლის 7 მარტის, 2016 წლის 29 დეკემბრის და 2020 წლის 29 დეკემბრის) აგრეთვე მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქვეყნის დასავლური ორიენტაციის განმტკიცებაში.

ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი კი ევროპული საბჭოს 2022 წლის ივნისის სამიტის შემდეგ დაიწყო, როდესაც საქართველოს პარლამენტმა ითავა აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება და პროცესის კოორდინაცია. პარლამენტში შეიქმენა საპარლამენტო სამუშაო ჯგუფები, რომელშიც ასევე მონაწილეობდნენ სახელმწიფო უწყებების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. ერთობლივი ძალებით მომზადდა ინიციატივები თითოეული რეკომენდაციის მიმართუ-

ლებით, რომელთა განხილვა და მიღება მოხდა საკომიტეტო და პლენარული სესიების დროს. საინტერესოა, რომ უკრაინასა და მოლდოვაში ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულებას მთავრობები უძღვებოდნენ, საქართველოში კი ეს კრიტიკული როლი პარლამენტმა ითავა.

3. ევროპეიზაცია, როგორც საქართველოს დემოკრატიზაციის ინსტრუმენტი

ზემოაღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, უკვე შესაძლებელია იმის გამოკვლევა, თუ როგორ და რატომ იყო საქართველოში ევროპეიზაცია და დემოკრატიზაცია ერთმანეთთან დაკავშირებული, თუ როგორ და რატომ იყო ევროპეიზაცია საქართველოს დემოკრატიზაციის ინსტრუმენტი?

დასაწყისისთვის, ვნახოთ როგორ იყო ევროპეიზაცია საქართველოს დემოკრატიზაციის ინსტრუმენტი. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში ევროპეიზაცია, ევროპული ინტეგრაცია დაკავშირებული იყო ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების განხორციელებასთან. 2004 წელს ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში საქართველოს ჩართვის შემდეგ, ევროპეიზაცია გახდა დემოკრატიზაციის წამახალისებელი ინსტრუმენტი – ევროპეიზაცია განსაზღვრავდა დემოკრატიზაციის დღის წესრიგს. ემერსონის და ნუჩევის¹¹ სიტყვები რომ გამოვიყენოთ, საქართველოსთვის „ევროპეიზაცია იყო დემოკრატიზაციის გრავიტაციის მოდელი“.

დემოკრატიული რეფორმები კი, თავის მხრივ, განამტკიცებდნენ ევროპეიზაციის პროცესს და პერსპექტივას, ქმნიდნენ ახალ სტიმულს და შესაძლებლობას ევროპეიზაციის გზაზე შემდგომი პროგრესისთვის. შესაბამისად, საქართველოში ევროპეიზაცია და დემოკრატიზაცია ერთგვარად ავსებდნენ და ახალისებდნენ ერთმანეთს.

ეს არც შეიძლება იყოს გასაკვირი, ვინაიდან კოპენჰაგენის კრიტერიუმების ყველაზე მნიშ-

11 Emerson, M. & Noutcheva, G. (2004). Europeanisation as a Gravity Model of Democratisation. *CEPS Working Document*, 214, pp. 1-31.

ვნელოვანი ნაწილია დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა. შესაბამისად, ევროპეიზაცია – ანუ საქართველოს კონტექსტში ევროპული ინტეგრაციის გზაზე პროგრესი – აუცილებლად გულისხმობდა ქვეყანაში დემოკრატიზაციის გზაზე წინსვლას, დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცებას. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში ყველა მნიშვნელოვანი ხელშეკრულება და ინიციატივა – პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, ევროპული სამეზობლო პოლიტიკა, აღმოსავლეთ პარტნიორობა, ასოცირების შეთანხმება, ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, კანდიდატის სტატუსის მისაღებად გაცემული ევროკავშირის რეკომენდაციები – მოიცავდა დემოკრატიზაციის მსხვილ კომპონენტს. თავის მხრივ, დემოკრატიული კონსოლიდაციისკენ გადადგმული წარმატებული ნაბიჯები განამტკიცებდა ევროპეიზაციის შემდგომ პროცესს. სწორედ ამ „ჩაკეტილმა წრემ“ საქართველოში – ევროპეიზაცია ქმნის დემოკრატიზაციის წნეხს, დემოკრატიზაციის პროგრესი განამტკიცებს ევროპეიზაციას – ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში წარმოშვა ვითარება, სადაც ევროპეიზაცია იქცა საქართველოს დემოკრატიზაციის ინსტრუმენტად. აღნიშნულის დასამტკიცებლად, უფრო სიღრმისეულად განვიხილოთ შესაბამის დოკუმენტები და ოფიციალური წყაროები.

ამრიგად, თუ შევხედავთ ბოლო წლების რეფორმების ინიციატივებსა და პროგრესს, ნათელი იქნება, რომ დემოკრატიზაცია წარმართებოდა ევროპეიზაციის გავლენით – საქართველოს დემოკრატიზაციის დღის წესრიგი მჭიდრო კავშირში იყო და განისაზღვრებოდა ევროპეიზაციის დღის წესრიგით.

საქართველოში ევროპეიზაციისა და დემოკრატიზაციის ურთიერთკავშირის დასტურად, განვიხილოთ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, მისი სამოქმედო გეგმები და განხორციელების ანგარიშები, ევროპული სამეზობლო პოლიტიკა და სხვა ინიციატივები. აგრეთვე, აღნიშნული დოკუმენტები და ინიციატივები შევადაროთ რეალურად განხორციელებულ რეფორმებს.

3.1. ევროპული სამეზობლო პოლიტიკა და აღმოსავლეთ პარტნიორობა

2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველო ჩაერთო ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში, რომლის ფარგლებშიც დაიწყო საქართველოს აქტიური ევროპეიზაცია და დემოკრატიზაცია. 2009 წელს კი ევროკავშირის ექვსი აღმოსავლელი მეზობლის (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა) ჩართულობით შეიქმნა აღმოსავლეთ პარტნიორობა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ეს პროცესები და აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში გათვალისწინებული იდეებით საქართველოს ევროპული პერსპექტივა უფრო რეალური გახადა.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივების ფარგლებში განხორციელდა არაერთი რეფორმა კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, უმცირესობათა უფლებების დაცვის მიმართულებებით.

ასოცირების ხელშეკრულებამდე სწორედ ამ ორი ინიციატივის დახმარებით და ფარგლებში წარმართებოდა საქართველოს ევროპეიზაციის და დემოკრატიზაციის ძირითადი პროცესები.

3.2. ადამიანის უფლებების დაცვის დიალოგი

2009 წლიდან საქართველოსა და ევროკავშირის შორის არსებული პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში შეიქმნა თანამშრომლობის ახალი ფორმატი – ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე დიალოგი (HRD). ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე დიალოგი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ყოველწლიური ფორმატია. მის ფარგლებში განიხილება ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და საქართველოს მიერ აღებული და ასაღები ვალდებულებები. მაგალითად, 2018 წლის HRD-ის დღის წესრიგი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიც არის „ადამიანის უფლებების დაცვის ახალი სამოქმედო გეგმი მომზადება“, „ადამიანის უფლებების დაცვის

ინსტრუმენტების განხორციელების ეროვნული მექანიზმების გაძლიერება“, „მედიის თავისუფლება და პლურალიზმი“ და სხვა.

3.3. ასოცირების ხელშეკრულება

ასოცირების ხელშეკრულება არის სამართლებრივი დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირს შორის. ასოცირების ხელშეკრულებით, ერთი მხრივ, საქართველო იღებს ევროპული ღირებულებების, კანონმდებლობის და პრაქტიკის დანერგვის ვალდებულებას. მეორე მხრივ, ამის სანაცვლოდ, ევროკავშირი იღებს ვალდებულებას, საქართველოსთვის გახსნას წვდომა ევროკავშირის ბაზარზე, ფინანსებსა და ინფორმაციაზე. ასოცირების ხელშეკრულების მიზანია (1) საქართველო-ევროკავშირს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება და (2) ევროკავშირის შიდა ბაზარში საქართველოს ეტაპობრივად ინტეგრირება.

ასოცირების ხელშეკრულება ეტაპობრივად უზრუნველყოფს რეფორმების განხორციელებას, რაც, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან მსგავსებამდე – ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტში; საჯარო სივრცეში დამკვიდრდება ძირითადი ევროპული ღირებულებები ურთიერთპატივისცემა, ტოლერანტულობა, კანონის უზენაესობა; გამოიწვევს საჯარო ცხოვრების პროგნოზირებადობისა და თანმიმდევრულობის გაზრდას; ხელს შეუწყობს საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას¹². ანუ საბოლოო ჯამში, მოხდება საქართველოს სრული **ევროპეიზაცია** – ეკონომიკურად, სოციალურად, პოლიტიკურად, ინსტიტუციურად.

ასოცირების ხელშეკრულება 450-მდე რეგულაციასა და დირექტივას მოიცავს¹³:

- I-III კარი – პოლიტიკური დიალოგი (დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, კარგი მმართველობა, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება, ტერორიზმთან ბრძოლა, მასობრივი განადგურების იარაღი).
- IV კარი – ვაჭრობასა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე – DCFTA).
- V-VI კარი – დარგობრივი თანამშრომლობა (გადასახადები, გარემოს დაცვა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მედია, ჯანდაცვა, მომხმარებელთა უფლებები, განათლება, და სხვ.).
- VII-VIII კარი – ინსტიტუციური, ფინანსური და პროცედურული საკითხები.

ასოცირების შეთანხმებაში ვხვდებით რამდენიმე ჩანაწერს, რაც მკაფიოდ მიუთითებს ამ დოკუმენტის და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის უაღრესად დიდ მნიშვნელობას ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში. მაგალითად, შეთანხმების პრეამბულაში ვკითხულობთ: „აღიარებენ რა, რომ ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა – ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთხედს, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე შეთანხმებით“¹⁴. აგრეთვე, ასოცირების შეთანხმების მიზნებში აღნიშნული ჩანაწერი ხაზს უსვამს ამ დოკუმენტის მნიშვნელოვან როლს საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესში: „ხელი შეუწყოს საქართველოში დემოკრატიის გაძლიერებასა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ სტაბილურობას“ (მუხლი 1, პარაგრაფი 2c). უფრო მეტიც, შეთანხმების ზოგადი პრინციპები (მუხლი 2, პარაგრაფი 4) აღნიშნული ფუნდამენტს ქმნის:

„*მხაჩეები ვადგებულებას იღებენ უზრუნველყონ კანონის უზენაესობა, განახორციელონ კაჩგი მმაჩთვედობა, ებხძოდონ კოჩუფციას და სხვადასხვა ფოჩმის გჩანსნაციონადუხ ოჩგანი-*

12 Emerson, M. & Kovziridze, T. (2016, eds.). *Deepening EU-Georgian Relations: What, why and how?* Brussels: CEPS.

13 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2022). *ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის.* <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>

14 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2022). *ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის.* <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>

ზებუდ დანაშაუდსა და გეჰოხიზმს, ხელი შეუწყონ მდგად განვითარებას, ეფექტიანი მუდგინაგე-
ხაღიზმს და იბძორონ მასობივი განადგუჟე-
ბის იახალის და მისი მიწოდების საშუადებების
გავხცელების წინააღმდეგ. ეს ვადებულებები
წახმოადგენს მხახეებს შოხის უთიეხობები-
სა და თანამშოხმდობის განვითარების ძიხითად
ფაქტოხს და ხელს უწყობს მშვიდობასა და სტა-
ბილუხობას ხეგიონში“.

ასევე, ხელშეკრულების პოლიტიკური დია-
ლოგის ერთ-ერთ მიზნად (მუხლი 3, პარაგრა-
ფი 2h) აღნიშნულია შემდეგი:

„გაადრიეხოს დემოკრატიული პიხინციპების,
კანონის უზენაესობისა და კახგი მმახთვედო-
ბის, ადამიანის უფლებებისა და ძიხითადი თა-
ვისუფლებების, მათ შოხის მედიის თავისუფლე-
ბისა და იმ პიხების უფლებების პატივისცემა,
ხომდებიც მიეკუთვნებიან უმციხესობებს, ასე-
ვე წვდილი შეიგანოს შიდა პოდიტიკუხი ხეფო-
ხმების კონსოდიდაციაში“.

შემდგომი ჩანანური ქმნის კონკრეტულ
სფეროებში თანამშრომლობის საფუძველს
ევროკავშირის (მაშასადამე, ევროპეიზაციის)
დღის წესრიგის შესაბამისად საქართველოს
შემდგომი დემოკრატიზაციისთვის:

„მხახეები ითანამშოხმდებენ, ხათა განა-
ვითაიხონ, გაამყაიხონ და გაზახდონ დემოკრატი-
ული ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის
სტაბილუხობა და ეფექტიანობა; ხელი შეუწყონ
ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტუხი თავი-
სუფლებათა პატივისცემას; განაგხდონ პიოგჟე-
სი სასამაიხთრო და სამაიხთრებხივი ხეფოხმის
კუთხით, ხათა გაიხანგიხებუდ იქნეს სასამა-
იხთროს დამოუკიდებლობა, გადრიეხდეს მისი ად-
მინისგიაციული შესადებლობა და უზუნვე-
დყოფიდი იქნას სამაიხთრადამცავ ოხგანოთა
მიუკეიხდობობა და ეფექტიანობა; განაგხდონ
საჯაიხო მმაიხთვედობის ხეფოხმა და შექმნან
ანგაიხიშვადებუდი, ეფექტიანი, ქმედიოთი, გამჭ-
ვიხვადე და პიოფესიონადრუხი საჯაიხო სამსახუ-
ხი; გააგხდებონ ეფექტიანი ბიძოდა კოხუფციის
წინააღმდეგ, განსაკუთხებით, კოხუფციის წინა-
აღმდეგ ბიძოდის კუთხით საეიხთაშოხისო თა-
ნამშოხმდობის გადრიეხების თვადსაზიხისით, და
უზუნვედყოფონ შესაბამისი საეიხთაშოხისო სამა-
იხთრებხივი დოკუმენტების, ხოგოხიცაა „კოხუფ-
ციის წინააღმდეგ“ გაეიხოს 2003 წდის კონვენცია,
ეფექტიანი იმპდემენტაცია“ (მუხდი 4).

დემოკრატიასთან დაკავშირებული კონ-

კრეტული ასპექტების უმრავლესობა ასოცი-
რების შეთანხმების III კარშია „თავისუფლება,
უსაფრთხოება და მართლმსაჯულება“ თავმოყ-
რილი. მაგალითად, მუხლი 13 ეძღვნება სამა-
რთლის უზენაესობასა და ადამიანის უფლე-
ბებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების
პატივისცემას:

1. „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მა-
იხთრმსაჯულების სფეიოში თანამშოხმ-
დობისას, მხახეები განსაკუთხებუდ
ყუხადლებას გაამახვილებენ კანონის უზე-
ნაესობის შემდგომ ხელშეწყობაზე, მათ
შოხის სასამაიხთროს დამოუკიდებლობაზე,
მაიხთრმსაჯულების ხელმისაწვდომობასა
და სამაიხთრიანი სასამაიხთროს უფლებაზე;
2. მხახეები სხუდად ითანამშოხმდებენ სა-
მაიხთრადამცავ და მაიხთრმსაჯულების მა-
იხთვის სფეიოებში მოქმედი ინსტიტუ-
ტების ეფექტიან ფუნქციონიხებასთან
დაკავშირებით;
3. ადამიანის უფლებათა და ძიხითად თავი-
სუფლებათა პატივისცემა საფუძვლად დაე-
დება თავისუფლების, უსაფრთხოებისა და
მაიხთრმსაჯულების სფეიოში თანამშოხმ-
დობას“.

მესამე კარი აგრეთვე ეძღვნება ისეთ საკი-
თხებს, როგორებიც არის პერსონალური მო-
ნაცემების დაცვა (მუხლი 14), თანამშრომლო-
ბა მიგრაციის, თავშესაფრისა და საზღვრის
მართვის საკითხებში (მუხლი 15), ადამიანე-
ბის გადაადგილება და რეადმისია (მუხლი 16),
ორგანიზებული დანაშაულის და კორუფციის
წინააღმდეგ ბრძოლა (მუხლი 17), თანამშრომ-
ლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში
(მუხლი 20), სამართლებრივი თანამშრომლო-
ბა (მუხლი 21).

დემოკრატიასთან დაკავშირებული აღ-
ნიშნული საკითხები შემდეგ იყო ხოლმე
ასოცირების კომიტეტის დღის წესრიგებში.
მაგალითად, ევროკავშირ-საქართველოს ასო-
ცირების მართლმსაჯულების, თავისუფლები-
სა და უსაფრთხოების ქვეკომიტეტის ოპერა-
ციული დასკვნები მოიცავდა საქართველოს
მიერ ასოცირების ხელშეკრულების ფარგ-
ლებში შესასრულებელ ისეთ ვალდებულებე-
ბს, როგორებიც არის:

- საქართველო სრულად შეასრულებს
ევროკომისიის მოსაზრებაში მითითე-
ბული 12 რეკომენდაციის იმ საკითხებს,

რომლებიც ეხება მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროს, აგრეთვე, ასოცირების 2022-2027 წლების მოკლევადიანი პრიორიტეტებს მართლმსაჯულების რეფორმაზე;

- საქართველო განახორციელებს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია და 2022 წელს დაამტკიცებს საზღვრის ინტეგრირებული მართვის ახალ სტრატეგიას;
- ევროკავშირი ყველა ინსტიტუტისთვის გააგრძელებს ანტიკორუფციული და გამჭვირვალობის პოლიტიკის მხარდაჭერას საჯარო ადმინისტრირების რეფორმის დახმარების პროგრამის და სხვა რელევანტური პროექტების გზით;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის აღჭურვა მისი მანდატის შესაბამისი რესურსებით და მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ვიზალიბერალიზაციის სამიზნეების შესაბამისად; და სხვა.

ასოცირების კომიტეტის წინა წლების დღის წესრიგები, აგრეთვე, 2014-2021 წლების სხვა ოფიციალური ანგარიშები მოიცავს ვალდებულებებს სასამართლოს, პროკურატურის, სამართალდამცავების, საჯარო ადმინისტრირების რეფორმის, პენიტენციური, მიგრაციის, საზღვრის მართვის, თავშესაფრის, ორგანიზებული დანაშაულის და სხვა არალეგალური საქმიანობის პრევენციისა და მათთან ბრძოლის, და სხვა სფეროებში¹⁵.

15 Government of Georgia (2016). *2016 National Action Plan for the Implementation of the Association Agreement between Georgia, of the one part and the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the other part and the Association Agenda between Georgia and the European Union*; Government of Georgia (2015). *2015 National Action Plan for the Implementation of the Association Agreement between Georgia, of the one part and the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the other part and the Association Agenda between Georgia and the European Union*; European Commission (2016). *Association Agenda between the European Union and Georgia 2017-2020*; EPRS (2020). *Association agreement between the EU and Georgia – European Implementation Assessment*. Brussels: EPRS; Parliament of Georgia (2019). *2019-2020 Action Plan for the Parliament of Georgia for the Implementation of the EU-Georgia Association Agreement*. Tbilisi: Parliament of Georgia.

3.4. 2014-2022 წლებში განხორციელებული რეფორმები

საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ასოცირების შეთანხმების და ევროპული დღის წესრიგით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელების და დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში. იმის დასამტკიცებლად, რომ ევროპეიზაცია განსაზღვრავდა საქართველოს დემოკრატიზაციის დღის წესრიგს, ღირებულია რამდენიმე მათგანის აღნიშვნა. შემდგომი ჩამონათვალი არ არის რეფორმების სრულყოფილი სია ან პროგრესის თუ გამოწვევების შეფასება. ამ ინფორმაციით გვსურს მხოლოდ იმის დემონსტრირება, რომ საქართველოს ევროპეიზაცია მართლაც იყო შემდგომი დემოკრატიული რეფორმებისთვის შესაბამისი წნეხის, დღის წესრიგის თუ ლეგიტიმაციის შექმნის გზით ქვეყნის დემოკრატიზაციის ლოკომოტივი.

2014-2022 წლებში ევროკავშირი ახალისებდა, წნეხს ქმნიდა ან სხვა ფორმით მხარს უჭერდა შემდგომ რეფორმებსა და საკანონმდებლო/ინსტიტუციურ ჰარმონიზაციას¹⁶:

- **ახალი ინსტიტუტები:** შსს-ს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური (რომელიც მოგვიანებით ორ უწყებად – სპეციალურ საგამოძიებო სამსახურად და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურად გაიყო), ანტიკორუფციული ბიურო, სურსათის ეროვნული სააგენტო, კონკურენციის სააგენტო, შრომითი ინსპექტირების დეპარტამენტი და სხვა.
- **ახალი კანონმდებლობა:** არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი; შრომითი უსაფრთხოების ახალი და გაფართოებული რეგულაციები; საჯარო სამსახურის ახალი კანონი; ქალთა უფლებების დაცვის ახალი რეგულაციები, მათ შორის, ე.წ. სტამბოლის კონვენციაზე მიერთება; მედიაციის შესახებ ახალი კანონი; ახალი საბაჟო კოდექსი; ახალი საარჩევნო კანონმდებლობა; ახალი კანონი მეწარმეობის შესახებ;

16 EPRS (2020). *Association agreement between the EU and Georgia – European Implementation Assessment*. Brussels: EPRS; Emerson, M. & Kovziridze, T. (2021, eds.). *Deepening EU-Georgian Relations: Updating and upgrading in the shadow of Covid-19*. Brussels: CEPS.

მომხმარებელთა უფლებების შესახებ ახალი კანონმდებლობა; მართლმსაჯულების რეფორმის ოთხი ტალღა და სხვა;

- **ასოცირებით გათვალისწინებული კარმონიზაციის გადაღვა სხვა სფეროებში:** ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული რეფორმების გატარებამ ასევე ხელი შეუწყო საქართველოს მიერ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელებას, რის შედეგადაც საქართველოს 2017 წელს მიენიჭა შენგენის ზონაში უვიზო წვდომა. აღნიშნული სამოქმედო გეგმა მოიცავდა სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვის, ანტიდისკრიმინაციული და ანტიკორუფციული კანონმდებლობის, სამართლის უზენაესობის მიმართულებით რეფორმებს.

3.5. ევროკავშირის რეკომენდაციები საქართველოსთვის

2022 წლის ივნისის ევროპულმა საბჭომ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად 12 რეკომენდაცია დაამტკიცა. აღნიშნული რეკომენდაციები ძირითადად თავს უყრის საქართველოში ევროკავშირის მიერ განეულ წინა წლების ძალისხმევას¹⁷:

1. **დეპორაჩიზაცია;**
2. **ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის სხუდი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მათი დამოუკიდებლობის და ეფექტინია ანგა-ჩიშვადრებულების, მათი დემოკრატიული ზედამხედველობის ფუნქციების გაძრე-ხება; სააჩრევნო კანონმდებლობის გაუმ-ჯობესება;**
3. **მახტდმსაჯულების ჩეფოხმა;**
4. **ანტიკოჩუფციური უწყების დამოუკიდებ-ლობის გაძრეხება; სპეციალური საგამო-ძიებო სამსახუხის და პეხსონაღუხ მონა-ცემთა დაცვის სამსახუხის აღჭუხვა მათი**

მანდაგის შესაბამისი ჩესუხსებით, მათი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნ-ველყოფა;

5. **„დემოტიგაჩიზაცია“;**
6. **ოჩგანიზებური დანაშაუდის წინააღმდეგ ბიძობის გაძრეხება;**
7. **თავისუფადი, პიოფესიონაღუხი, პღუხა-ღისტური და დამოუკიდებელი მეღია გაჩე-მოს უზრუნველსაყოფად უფიო მეტი და-ღისხმევის გაწევა;**
8. **მოწყვდადი ჯგუფების უფლებების დაცვის გაძრეხება;**
9. **გენდეხური თანასწორობისა და ქადთა წი-ნააღმდეგ დადაღობასთან ბიძობის გაუმ-ჯობესება;**
10. **გადაწყვეტილების მიღების ყვედა ღონეზე სამოქადეო საზოგადოების ჩაჩთუღობა;**
11. **საქაჩთვეღოს სასამაჩთღოების მიეჩ ადამიანის უფლებების ევჩოპური სასამა-ჩთღოს გადაწყვეტილებების პიოაქტიური გათვადისწინება;**
12. **ახადი ომბუდსმენის ნომინირების პიო-ცესში დამოუკიდებელი კანდიდაგისთვის უპიჩატესობის მინიჭება და ამ პიოცესის გამჭვიხვადედ ჩაგაჩება; ომბუდსმენის ინსტიტუტის ინსტიტუციური დამოუკი-დებლობის უზრუნველყოფა.**

3.6. ევროპეიზაცია, როგორც საქართველოს დემოკრატიზაციის ინსტრუმენტი

ზემოსენებული ინფორმაციის საფუძველ-ზე, ნათელია, თუ როგორ ქმნიდა ევროპეიზა-ცია საქართველოს დემოკრატიზაციის დღის წესრიგს. ახლა განვიხილოთ ის მიზეზები, თუ რატომ იყო ევროპეიზაცია საქართველოს დე-მოკრატიზაციის ინსტრუმენტი, რატომ იყო ეს პროცესი მისაღები ქვეყნის გადანყვეტილე-ბის მიმღები პირებისთვის. ჩვენი აზრით, აღ-ნიშნულს ჰქონდა სამი მიზეზი:

პირველი, ევროპეიზაცია (ან სხვა სი-ტყვებით, ევროპული ინტეგრაცია) მთავრო-ბებისთვის იყო მტკივნეული რეფორმების გატარებისთვის ლეგიტიმაციის ფაქტორი. ევროპეიზაციის გარეშე, შეიძლება მსგავსი რეფორმების განხორციელება შეუძლებელიც კი ყოფილიყო.

17 European Commission (2022). *Opinion on the EU membership application by Georgia*. Retrieved on 15 December 2022 from https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800

მეოხე, ევროპეიზაციის და დემოკრატიზაციის პროცესები მსგავს ღირებულებებს ეფუძნებოდა, აღნიშნულ ღირებულებებს კი მოსახლეობის უმრავლესობა უჭერდა მხარს. შესაბამისად, ხელისუფლებებისთვის პოლიტიკურად შესაძლებელი და სასარგებლო იყო ევროპეიზაციის და დემოკრატიზაციის ერთდროულად განხორციელება. 2014-2022 წლებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეების, პრემიერ-მინისტრების თუ სხვა მაღალი რანგის ოფიციალური პირების სიტყვით გამოსვლები, როდესაც ისინი საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს და საზოგადოების ღირებულებათა სისტემას ევროპეიზაციასთან აკავშირებენ, ამ არგუმენტის მკაფიო დადასტურებაა.

მესამე, პრაგმატული/მატერიალისტული მიზეზები – ევროკავშირი იყო რთული რეფორმების წახალისების და ცვლილებებით გამოწვეული ნეგატიური შედეგების შემსუბუქებისთვის საჭირო პოლიტიკური მხარდაჭერის, ცოდნის, ფინანსური რესურსებისა და ტექნიკური ექსპერტიზის წყარო იყო. აგრეთვე, ევროპეიზაციის ხელშესახები შედეგები (მაგალითად, შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლა) ამ პროცესს მეტ ლეგიტიმაციას, მთავრობებს კი მოსახლეობის მეტ მხარდაჭერას სძენდა.

დასკვნა

სტატია ეძღვნება იმის შესწავლას, თუ რატომ და როგორ იყო ევროპეიზაცია საქართველოს დემოკრატიზაციის ინსტრუმენტი. ამ მიზნით იგი განიხილავს ევროპეიზაციის და დემოკრატიზაციის ცნებებს, მიმოიხილავს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ევოლუციას, სწავლობს საქართველოს დემოკრატიზაციის კონტექსტში ევროპეიზაციის ინსტიტუტებს, ინსტრუმენტებს, ხელშეკრულებებსა და ფორმატებს, აგრეთვე, 2014-2020 წლებში ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებულ რეფორმებს.

კვლევით ნათელია, რომ ევროპეიზაცია განსაზღვრავდა დემოკრატიზაციის დღის წესრიგს. ჩვენი აზრით, ასეთი ურთიერთკავშირი განპირობებული იყო სულ ცოტა სამი მიზეზით: ლეგიტიმაციის ფაქტორით, ღირებულებითი თანხვედრისა და პრაგმატული ინტერესებით.

ეს სტატის იყო საქართველოს ევროპეიზაციისა და დემოკრატიზაციის ურთიერთკავშირების ყოველმხრივ ახსნის ერთ-ერთი პირველი მცდელობა. იმედი გვაქვს, მისი შედეგები სასარგებლო იქნება ამ საკითხზე მეტი სიცხადის შეტანის მიზნით დაგეგმილი მომავალი მსგავსი კვლევებისთვის.